585
1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0203—2023

პროლეტარეებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
ჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 7

1986

16
585

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (490) ივნისი 1986 წელი

483453

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

141. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

142. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის შევსების შესახებ.

143. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. დ. მველაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

144. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ.

145. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 26-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

146. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

147. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

საქ. სსრ ეროვ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

148. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ბ. კობახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

149. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

150. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

151. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აფხაზეთის მწერალთა კავშირის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

152. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ი. სიჭინავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

153. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ნ. სრესელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

154. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. შ. ჯანიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

155. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უმაღლესი სკოლის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

156. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

157. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. ი. მოხევიშვილისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

141 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1986 წლის 5 ივლისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 4 ივნისი.
№ 781—XI.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

142 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის შევსების შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 23-ე მუხლის შევსების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 23 მაისის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის პირველ ნაწილს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1985 წ., № 7, მუხ. 247) სიტყვების „არა უმეტეს თხუთმეტი წლისა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სიკვდილით დასჯის პატიების წესით თავისუფლების აღკვეთით შეცვლისას იგი შეიძლება დაინიშნოს თხუთმეტ წელზე მეტი ვადითაც, მაგრამ არა უმეტეს ოცი წლისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 11 ივნისი.
№ 784—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

143 ამხ. გ. დ. მგელაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გურამ დავითის ძე **მგელაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 14 ივნისი.
№ 786—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

144 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარედ ამხ. ზურაბ ამბროსის ძე **ჩხეიძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

განთავისუფლდეს ამ კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ოთარ ევტიხის ძე **ჩერქეზია.**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრად ამხ. ნელი ვლადიმერის ასული **გურგენიძე** — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

განთავისუფლდეს ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან ამხ. სერგო ტარასის ძე **რიგვავა.**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელ მდივნად ამხ. იოსებ დიმიტრის ძე **ქუმსიშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

ჭოს საქმეთა მმართველობის კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსი რეფერენტი.

განთავისუფლდეს ამ კომისიის პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობისაგან ამხ. გიორგი ფილიპეს ძე ჩიბურდანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 19 ივნისი.
№ 792—XI.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

145 საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 26-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ

„მუშა-მოსამსახურეთა საბინაო პირობების გაუმჯობესების საკითხთა გადაწყვეტაში საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების უფლებათა გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 21 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაემატოს საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 26-ე მუხლს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1983 წ., № 6. მუხ. 200) შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილებით კოლექტიურ ხელშეკრულებებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საცხოვრებელი სადგომების პირველ რიგში მიღების უფლების მქონე მუშა-მოსამსახურეებისათვის, აგრეთვე წარმოების ნოვატორებისა და მოწინავეებისათვის, რომლებმაც მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს შრომაში და აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი საბინაო პირობებგასაუმჯობესებლად ცნობის შეღავათიანი საფუძველი სამუშაო ადგილის მიხედვით საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფისას, აგრეთვე ამ მიზნებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის რაოდენობა. წარმოების აღნიშნული ნოვატორებისა და მოწინავეებისათვის კოლექტიურ ხელშეკრულებებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საცხოვრებელი სადგომების პირველ რიგში მიცემა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 24 ივნისი.
№ 795—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

146 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„შრომის შესახებ სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 19 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118; 1983 წ., № 11, მუხ. 370; 1986 წ., № 6, მუხ. 140) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 119-ე მუხლის:

პირველ ნაწილში სიტყვები „საშუალო თვიური ხელფასის ერთი მესამედისა“ — შეიცვალოს სიტყვებით „თვიური ხელფასისა“;

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მატერიალური პასუხისმგებლობა საშუალო თვიურ ხელფასზე მეტი ოდენობით დასაშვებია მხოლოდ სსრ კავშირის კანონმდებლობით მითითებულ შემთხვევებში“.

2. 120-ე მუხლის:

პირველი აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „საშუალო თვიური ხელფასის ერთ მესამედზე მეტი ოდენობით“;

პირველ პუნქტში სიტყვები „საშუალო თვიური ხელფასის ორი მესამედისა“ შეიცვალოს სიტყვებით „მათი თვიური ხელფასისა“.

3. 122-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუშა-მოსამსახურეები ზიანს აანაზღაურებენ იმ ოდენობით, რომელიც არ აღემატება საშუალო თვიურ ხელფასს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის განკარგულებით, ხოლო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები — ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოს განკაგრულებით, მუშაკის ხელფასიდან დაქვითვის გზით. ადმინისტრაციის ან ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოს განკარგულება უნდა გაიცეს არაუგვიანეს ორი კვირისა მუშაკის მიერ მიყენებული ზიანის გამოვლინების დღიდან და მიექცეს აღსასრულებლად არა უადრესი შვიდი დღისა ამის თაობაზე მუშაკისათვის შეტყობინებიდან. თუ მუშაკი არ ეთანხმება დაქვითვას ან მის ოდენობას, მისი განცხადებით შრომითი დავა განიხილება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

დანარჩენ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურება ხდება ადმინისტრაციის მიერ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე ნაწილი ამოღებულ იქნეს;

მეხუთე და მეექვსე ნაწილები შესაბამისად ჩაითვალოს მეოთხე და მეხუთე ნაწილებად.

II. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1986 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 24 ივნისი.
№ 796—XI

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

147 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** დაჯილდოვდნენ:

თარბა გიორგი ხმანჯირის ძე — ქ. ტყვარჩელის № 6 პროფესიული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

მაღლაკელიძე ვახტანგ შოტოს ძე — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ცენტრალიზებული რემონტის საამქროს უფროსი.

ქვარცხავა ოთარ ლადიკოს ძე — ტყვარჩელის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი.

ჯინჯოლია რუსლან ჯელალის ძე — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ცენტრალიზებული რემონტის საამქროს ოსტატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 25 ივნისი.
№ 798—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

148 ამხ. ბ. პ. კობახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ბადრი პეტრეს ძე **კობახიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 6 ივნისი.
№ 783—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

149 თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის განვითარებაში, მუშათა კლასის სახელოვანი ტრადიციების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილისათვის და 100 წლისთავთან დაკავშირებით **თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 ივნისი.
№ 790—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

150 თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საწარმოს 100 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ** თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის მუშაკები:

აბესაძე გოდერძი ივანეს ძე — საამქროს უფროსი.
ბარამიძე გივი ალფესის ძე — ხარატი.
ვასილევი დიმიტრი ალექსანდრეს ძე — ინჟინერ-მნორმირებელი.
კარაპეტიანი რომეო არტაშის ძე — მღარავი.
კონტრიძე არჩილ კასიანეს ძე — დირექტორის მოადგილე.
ლელუაშვილი რევაზ ვასილის ძე — ზეინკალი.
მაგამედოვი ჰასაინ მურთაზის ძე — მებათქაშე.
მაისურაძე მიხეილ ვასილის ძე — აირმჭრელი.
ტიმოხინი მიხეილ პავლეს ძე — ხარატი.
ჩარაშვილი თეიმურაზ მიხეილის ძე — ამომჭრელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 ივნისი.
№ 788—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

151 აფხაზეთის მწერალთა კავშირის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აფხაზური საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, მშრომელთა კომუნისტურ, ინტერნაციონალურ აღზრდაში დამსახურებისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით **აფხაზეთის მწერალთა კავშირი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 25 ივნისი.
№ 803—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

152 ამხ. ბ. ი. სიჭინავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგანიზაციულ-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ბორის ირაკლის ძე **სიჭინავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 25 ივნისი.
№ 806—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

153 ამხ. რ. ნ. სრესელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო კონტროლის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის საერთო განყოფილების სექტორის გამგე ამხ. რუსუდან ნიკოლოზის ასული **სრესელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 25 ივნისი.
№ 805—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

154 ამხ. ბ. შ. ჯანიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. გივი შალვას ძე ჯანიკაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 25 ივნისი.
№ 804—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

155 უმაღლესი სკოლის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

უმაღლესი სკოლის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და წარმატებითი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“:**

აბზიანიძეს შოთა ტარასის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

ბერძენიშვილს სამსონ ვასილის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

მეცუგოვს ვასილ ქრისტეფორეს ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის პროფესორს.

ქირიას ვლადიმერ სპირიდონის ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტს.

ღვამიჩავას ჯულიეტა ანდრიას ასულს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის უფროს მასწავლებელს.

ყიფიანს თორნიკე ტერენტის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

შონიას ნათელა ვლადიმერის ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული ინსპექციის უფროსს.

შუბლაძეს ლუარსაბ ილიას ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კათედრის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯორბენაძეს ნოდარ პროკოფის ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 ივნისი.
№ 787—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

156 თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

ზარდალიშვილს სერგო მიხეილის ძეს — ზეინკალს.
კეშელაშვილს ალექსანდრე ზაქარიას ძეს — ზეინკალ-მეინსტრუმენტეს.
მელიქიძეს ბორის ვარლამის ძეს — უფროს ოსტატს.
მანუკიანს არტუშ ხაჩატურის ძეს — ხარატს.
ჩალაძეს სპარტაკ ალექსანდრეს ძეს — განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი

ჭელიძეს ბორის ვიქტორის ძეს — მთავარ ინჟინერს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

რეხვიაშვილს ზურაბ ივანეს ძეს — დირექტორის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

ლაბაძეს ზაირა ისაკის ასულს — მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

ჯიბუტს ნინო მიხეილის ასულს — მთავარი ბუღალტრის მოვალეობის შემსრულებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 ივნისი.
№ 789—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

157 ამხ. დ. ი. მოხევიშვილისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის ფოლადთუჯსამსხმელი ქარხნის მძღოლს ამხ. დარჩო იაკობის ძე **მოხევიშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 ივნისი.
№ 791—XI

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

„სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე ვადამდე შეწყვეტილად ჩაითვალა ქ. ქუთაისის № 263 გრიშაშვილის საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვიტალი ალექსანდრეს ძე ხაზარაძის უფლებამოსილება.